2-9350/20
14-09-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტის წევრების: ირაკლი კობახიძის, რატი იონათამიშვილის და გურამ მაჭარაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N07-3/480; 16.07.2020).

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 88-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, პარლამენტის არჩევნების წელს არჩევნებამდე 1 თვის განმავლობაში, როგორც წესი, პარლამენტის პლენარული სხდომები არ იმართება, რაც იმას გულისხმობს, რომ აღნიშნული კანონპროექტის განხილვა და მიღება 2020 წლის 1 ოქტომბრიდან შესაძლოა ვერ განხორციელდეს. შესაბამისად, ამ მოცემულობიდან და კანონპროექტით გათვალისწინებული საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი დაჩქარებული წესით იქნეს განხილული და მიღებული.

ამგვარად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის თანახმად, მოგმართავთ, რომ მიიღოთ გადაწყვეტილება აღნიშნული კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვისა და მიღების შესახებ.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ირაკლი კობახიძე

პარლამენტის წევრი
რატი იონათამიშვილი

პარლამენტის წევრი
გურამ მაჭარაშვილი